ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05/03/97-2019

ქ. თბილისი 15 აპრილი, 2019 წელი

ერთი მხრივ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.#77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით **(„შემსყიდველი“)**, და მეორე მხრივ - შპს ,,ადა“ (მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის ქ.4) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით **(„მიმწოდებელი“)**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს: რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი #217164-ის დაფინანსების ფარგლებში:

- აკუმულატორი NP9 0-12 ENOT NP9.0-12 battery 12V 9.0 Ah (CPV31430000) – 1ცალიX49 ლარი = 49 ლარი

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება - გამარტივებული შესყიდვა

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 49 (ორმოცდაცხრა) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი #217164-ის მენეჯერი თამაზ ეთერაშვილი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი შემსყიდველის მხრიდან - სტუ-ს საწყობის გამგე ზ. ფრანგიშვილი.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 27 აპრილამდე.

4.2. მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 77. სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში მდებარე საწყობი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივლისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონულად, ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	შპს ,,ადა“
მის: კოსტავას ქ. #77	მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ.4
სახელმწიფო ხაზინა	თიბისი ბანკი
ა.ა. 708977259	ბანკის კოდი: TBCBGE22
ს.კ. 211349192	ა.ა GE62TB7925636020100005
ბანკის კოდი TRESGE22	ს.კ. 405027830
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ქ. ქოქრაშვილი	გ.ღუღუნიშვილი
---	---

Giorgi Gugunishvili

Digitally signed by Giorgi Gugunishvili
Date: 2019.04.15 17:38:40 +04'00'